# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 386. ხუთშაბათი, 9 მარტი, 1906 წ. გაზეთის № 3022.

# მეურნეობა

მოთხრობა ოკტავ მირბოსი.

(ფრანგულით).

ბ ნი ლეშა რკინის გზის სადგურზე მელოდებოდა.

— ძლივს არ მოხვედით!—წამოიძახა, როგორც კი დამინახა.

— ხომ ხედავთ, დაგპირდით და პირობა ავასრულე კიდეცა-მეთქი...

— ბარაქალა! მეც ის მიყვარს, რომ ყველამ იცოდეს დაპირებულის ასრულება!.. აბა აქედ წამოდით... წამოდით, ჩქარა ჩავსხდეთ ეტლში... ბარგი ხომ არა გაქვსთ?.. არა? მით უკეთესი... აბა აქეთკენ!..

კალთაზე ხელი მომკიდა, ფაცხა-ფუცხით გამატარა სადგურზე და იქავ ახლო აკაციებით შემორიგებულ ერთ პატარა მოედანზე გავედით. სხვა ეტლებს შორის მისი კარეტაც იდგა და ჩვენ გველოდებოდა.

— შედით, შედით რაღა!—დამიძახა ბ-ნმა ლეშამ.

მერე მეეტლეს მიუბრუნდა:

— შენ ეი, გასწი მაგრამ იცოდე, ჩქარა-კი უნდა წაგვიყვანო... თუ სხვა რომელმამე ოხერმა მეეტლემ გაგვისწრო, იცოდე, სახლიდან გაგაგდებ... აბა კოშკში! ჩქარა ..

ცხენებმა ფეხები დატყაპუნეს, ერთხანს ერთს ალაგას ცმუკავდნენ, თავებს აქნევდნენ, მერე ეტლი მარდად გააქროლეს სწორ შარა-გზაზე. ბალიშებზე დაჩოქილი, ეტლის ზურგზე გადაყრდნობილი ლეშა გაფაციცებით თვილყურს ადევნებდა სხვა ეტლებს, ბაწარაღებით ჩვენს უკან რომ მოდიოდნენ და ოდნავ მტვრის კორიანტელს რომ აყენებდნენ.

— ფრთხილად!—უძახოდა ჟამ-და-ჟამ ლეშა მეეტლეს,— ნელა, შენ ოხერო, შენა.

საშინელის სისწრაფით მივაქროლებდით. მარჯვნივ და მარცხნივ სოფელი ჩვენს თვალში ტრიალებდა... რამდენისამე წუთის შემდეგ უკან ჩამორჩენილი ეტლები ერთ კიკნა წერტილად მოსჩანდა თეთრ გზაზე და ბოლოს ეს წერტილიც გაჰქრა.

ლეშა, როგორც იყო, დამშვიდდა, დაჯდა და თავისუფლად ამოიხვნეშა, თითქო გულიდან მძიმე ლოდი გადაუგორდაო.

— არ მინდა ვინმემ გამისწროს ხოლმე,—მითხრა ლეშამ და ხელები მუხლებზე დამადო,—არ მინდა... გაიგეთ?

— გავიგე, მაშ არა!—დავამშვიდე მეც:

— აი თქვენისთანა პირამთქმელი კაცი მიყვარს, ჰო ჩემმა მზემ!.. მართალია, აქ ორი თუ სამი კუდა აზნაურიცაა, წელიწადში ოცი ათასი ფრანკი არც კი აქვსთ და უნდათ ჩემს ცხენებს გაეჯიბრნენ!.. აბა, ერთი შეხედე ჩემს ცხენებსა!.. მხოლოდ შეხედე!..

ერთხელ კიდევ მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ შარა გზაზე არავინა სჩანდა, მეეტლეს უბრძანა, ცოტა ნელა ატარე ცხენებიო... მერე მუხლზე ხელი მაგრად მომიჭირა.

— ყური მიგდე,—განაგრძო ლაპარაკი,—გუშინ წინ... ხომ არა გწყინს, რომ შენობით გელაპარაკები?

— რასა ბრძანებთ! მომწონს კიდეცა...

— ყოჩაღ! მიყვარს, როცა შენობით ლაპარაკობენ!... გუშინ წინ სენ-გობურაეიდან მოვდიოდი ტყე-ტყე... გზა ვიწროა და მხოლოდ ერთ ეტლს შეუძლია გავლა... ვნახოთ, ორმოციოდ ნაბიჯზე ჩემს წინ დავინახე... ვინ? დე-ლა ფურტე,



ტყეში გახიზნული გურულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუკი, ცნობილი კუდა-ბზიკა... არ მიყვარს ჩემზე წინ სხვა ვინმე გავიტარო... განსაკუთრებით კუდა-ბზიკა დუკი დე-ლა ფურტე... ჩემ მეეტლეს ვუბრძანე: „გაასწარი, შე მუდრეგო!“

— „გზა ვიწროა და ვერ გავეტევი, ბატონო“,—მიპასუხა მეეტლემ.—„მაშ დაეჯახე და თხრილში გადააგდე დუკი, ეტლი, ცხენები“... ჰო, ჩემმა მზემ. გაცინებ... მეეტლე ცხენებს გაუჯავრდა და პირდაპირ დააჯახა... დუკი ერთის მხარეს გადავარდა, მე მეორე მხარეს, მეეტლე ტყეში ყირამალა გადავარდა!. დომხალივით აირია ყველაფერი!.. მაგრამ გონება არ დამკარგვია. უცბად ზეზე წამოვხტი, ეტლი ავაყენე, თითქო არაფერიაო, და გზას გავუდექი... დუკი, მაღლა ფეხ აშვერილი, და მისი გადმოყირავებული ეტლი იქვე დავტოვე... სიცილით მოკვდებოდა ადამიანი... აი, როგორ ვეპყრობი შენს დუკებს!.. ვაი არა აქვს ჩემს თავსა!. მაშ! ამაზე შენ რალას იტყვი?

— გასაგიჟებელი ამბავი ჩაგიდენიათ!

— ხომ!.. არ ვემართლებოდი თუ! მე წელიწადში თხუთმეტი მილიონი მაქვს შემოსავალი... დუკს კი რაღა აქვაია, ვინ ოხერი გდია?.. ორი მილიონი თუ ლა ატიალია... ცხვრებსაც გავიტან ხოლმე ჩემის ეტლით! ერთხელ ბავშვებიც გავიტანე, ღარიბ დედ-მამის შვილები... რა დიდი საქმეა... მერე დედ-მამას ფულს მივცემ და გავაჩუმებ ხოლმე.

ლეშამ კმაყოფილის კაცის სახით ხელები გაიფშვნიტა.

— რაკი ასე იქცევით,—ვკითხე,—ალბად დიდად გაითქვამდით სახელსა?

— გავითქვამდი და მეტი არა?! შენ დეპუტატების არჩევნების დროს უნდა უყურო, ჩემო კარგო... იცი, რას მეძახიან? —დაუმატა ნერწყვის ყლაპვით...—ლეშა-ვეფხვს მეძახიან... ვაი არა აქვს ჩემს თავსა! ხომ კარგი სახელია: ლეშა-ვეფხვი?..

ერთს ხანს თვალებ გადმოკარკლილი, ტუჩებ გამოშვერილი, ულვაშებ აბურძგნული გაბრაზებულ კატას დაემსგავსა. მერე ერთბაშად მითხრა:

— რასაც კი ხედავ მარჯვნივ, მარცხნივ, შენს წინ, შენს უკან, მთელი ეს ყანები, ყველა ეს სახლები, მთელი ეს საბალახოები და იქით მთელი ეს ტყე,—ყველაფერი ეს ჩემია... ყველაფერს კიდევ ვერ ხედავ აქედან!.. მაზრის სამ მეოთხედ ნაწილის პატრონი ვარ, თოთხმეტი სოფლის საზოგადოება ჩემს ხელშია... ექვსას სამოცდა თექვსმეტი ყანა მაქვს... აი საცაა სახლში მივალთ და ყველაფერს დაინახავ პლანზე, ჩემის კოშკის შესავალ ოთახში რომ ვინახავ.. ოცდაორი საათია საჭირო, რომ ჩემს მამულს შემოუარო, ოცდაორი საათი.. ყველაფერს პლანზე გაჩვენებ... გასაოცარია ჩემის მამულის ამბავი... გაჩვენებ ჩემს ძროხებს, ჩემს ორმოცდა ჩვიდმეტ ძროხას, გაჩვენებ ჩემს ას-ოთხმოცდა-ათ ხარს, წვრილ ფეხსაქონელს, ერთის სიტყვით, ყველაფერს გაჩვენებ... სიტყვას გაძლევ, არ მოგეწყინება...

ეტლის ზურგზე გადაწვა, ფეხები გასჭიმა, გულზე ხელები დაიკრიფა. კმაყოფილის კაცის სახით გაიღიმა და ცქერა დაუწყო თავისს საძოვრებს, ყანებს, ტყეს, სახლებს, ორსავე მხარეს რომ იშლებოდა და უკან რომ გვრჩებოდა. მომუშავე გლეხები რომ დაგვინახავდნენ, თავს მაღლა აიღებდნენ, მუ-



ადამიანები თუ მხეცები.—სურათი კროტგერისა.

შაობას თავს დაანებებდნენ და მდაბლად სალამს გვაძლევდნენ, მაგრამ ბ-ნი ლეშა ზედაც არ შეხედავდა.

სალამს თავის დღეში არ აძლევთ, განა?—ვკითხე.

ამათ?—მიპასუხა ზიზღით და მხრები შეიშმუშნა.—თქვენგან არ მიკვირს? იმათ დანახვაზე გული მერევა ხოლმე.

თავზე ქუდი ჩაიკეცა და მხეცსავით დაიზმუვლა.

—

პატარა ტანისა და ცოცხალი იყო, თვალები გაიძვერული ჰქონდა, პირი ლაჩრული. წინედ ლეშას ტყავეულობის ქარხანა ჰქონდა და მთელს დასავლეთ საფრანგეთში განთქმული იყო. ომიანობის დროს ლეშას გენიოსური აზრი დაებადა და ჯარისთვის ქაღალდისა, ჭიჭისა და ძველ ღრუბლისაგან აკეთებდა ტყავებსა. 1872 წელს მრეწველობას თავი დაანება. მიიღო საპატიო ლეგიონის ორდენი; თხუთხმეტი მილიონი წლიური შემოსავალი ჰქონდა. იყიდა ვოპერდუს მამული და გადაწყვიტა მთელი თავისი ძალღონე მეურნეობისათვის შეეწირა, როგორც ის ამბობდა ხოლმე დიდის რიხით.

ვოპერდუს მამული ნორმანდიაში ერთს საუკეთესო მამულად ითვლება. შიგა სდგას კოშკი, საყურადღებო ნაშთი მეთექვსმეტე საუკუნის ხუროთ-მოძღვრებისა, ამას არტყია აუარებელი ტყე, საძოვარი და სახნავ-სათესი. გარდა ამისა, მამულშივეა: ოცი ფერმა, ხუთი წისქვილი, ორი ტყე და საძოვრები. ყოველსავე ამას წლიურად ოთხას ორმოცდა ათი ათასი ფრანკი შემოაქვს წმინდად.

ბ-ნმა ლეშამ ტყავის საკეთებელი ქარხანა გაჰყიდა თუ არა, ვოპერდუში გადმოსახლდა. ცოლი ლეშამ ჯერ კიდევ იმ დროს შეირთო, როცა უბრალო მუშა იყო,—და ახლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიზლით იხსენიებს იმ დროს, ჩემისთანა კაცი მუშა როგორ ვიყავიო! ქ-ბატონი ლეშა მის ქმარსავით ტლანქი და მოუხეშავი იყო, დიდკაცური ზრდილობა აკლდა. აბრეშუმის კაბას ატარებდა, თავზედაც ახალ მოდის ქუდი ეხურა, ნათხოვარსავით. მართალია გარეგნობა გამოცვლილი ჰქონდა, მაგრამ ისევ ის გლეხის ქალი იყო, პატიოსანი, მიჯვედრილი. მისი ქმარი ლეშა, ერთ დროს მეტყავე და ახლა კი კეთილშობილი მემამულე, საცა შემთხვევა ექნებოდა, რესპუბლიკანურ აზრების მომხრეობას იჩენდა, მაგრამ მაინც სწუხდა, რომ ცოლი გლეხურ ჩამომავლობისა ჰყავდა და ხშირად აყვედრიდა კიდეც, რა არის ეს გლეხობა, რითი ვერ მოიშორე აქამდეო!

სოფლად, როცა ვისმე 150,000 ფრანკი წლიური შემოსავალი აქვს ხოლმე, უეჭველია, შესაფერი პატივისცემა და სახელიც არ აკლია. იმ მხარეში ყველაზე ცნობილი სახელგანთქმული ლეშა იყო, ყველას ლეშა და მისი სიმდიდრე ეკერა პირზე. ხშირად ამბობდნენ „მავანი ლეშასავით მდიდარიაო.“ ლეშას სახელს და მისს სიმდიდრეს მაშინ ახსენებდნენ, როცა ვისიმე არაჩვეულებრივი, გაზვიადებული სიმდიდრე უნდა მოეტანათ. ისტორიაში სიმდიდრით განთქმულ კრეზს მასთან არც კი ახსენებდნენ, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა. მართალია, გლეხები როცა შეხვდებოდნენ, დიდის მოწიწებით თავს უკრავდნენ მაგრამ ზურგს შეაქცევდნენ თუ არა, ყველანი დასცინოდნენ. საშინელი ტლანქი იყო, ჰიჰყინა, ხეპრე, ბაქია და ქედმაღალი. ყველას ვითომ და შ ნაურულად და გულკეთილად ექცეოდა, მაგრამ ყველა ატყობდა, რომ ნაძალადევი იყო მისი ქცევა· თუ ვისმე სიკეთეს უზამდა, ისე უშნოდ, ისეთის ბაქიობით უზამდა, რომ ყოველი მადლი ეკარგებოდა. ვისმე გაიკითხავდა, მაგრამ ისე უკმეხად, რომ ვერ ჰმალავდა თვითმოყვარეობას, რომლის გულისთვისაც გაჭირებულს მიხედავდა ხოლმე. და იმის მაგივრად, რომ გაჭირებულს მისის გაკითხვის შემდეგ



ჰეკატომბა.—სურათი გროტგერისა.

გულზე მოშვებოდა, გულში მისდამი ზიზღი და სიძულვილი ებადებოდა, ამიტომ რომ მისი მოწყალება დაუსრულებელი ლანძღვა და შეურაცხყოფა იყო ამ გაჭირებულთა. აი მიზეზიც ეს გახლდათ, რომ დეპუტატების არჩევნების დროს სამჯერ დაიდგა ყუთი, აუარებელი ფული დახარჯა, მაგრამ 25,000 ამომჩეველში მხოლოდ სამასმა ჩაუგდო თეთრი კენჭი. აი ეს ცნობები შევკრიბე ბ-ნ ლეშას შესახებ ჩემის მოსვლისთანავე, იმ ლეშას შესახებ, რომლის სახელს ლაპარაკში წამ და უწუმ ურევდნენ.

ერთხელ სრულებით შემთხვევით შევხვდი· მთელი დღე თავი არ დაუნებებია და სულ თავს მევლებოდა. მთხოვა ჩემს მამულში მეწვიეო, გაჩვენებ, როგორ ვამუშავებ მიწასაო. მე უარზე ვიდექი: სტუმრად არსადა ვყოფილვარ, მოგზაურობა არ მიყვარს, ესეც არ იყოს, საქმეებს თავს ვერ დავანებებმეთქი...

— უარი არ იყოს! არა!—მითხრა ლეშამ და მხარზე ხელი დამარტყა...—ვიცი რისთვისაც არ გინდათ მეწვიოთ..· ალბად იმისა გეშინიათ, რომ მაგიერ პატივისცემას ვერ გადამიხდით? უკან ამისათვის იხევთ, განა?.. ამ პატივისცემას იმითი გადამიხდით, რომ გაზეთებში ორიოდე სიტყვას იტყვით ჩემს შესახებ!..

რაღა ბევრი გავაგრძელო, ბ-ნმა ლეშამ დამიყოლია.

ეტლი განიერ ხეივანზე მიგვაქანებდა. იქით-აქეთ ჩამორიგებული იყო მშვენიერი კოპიტის ხეები. სულ ბოლოს მზეზე ბჭყვრიალებდა კოშკის სახურავი, ხოლო წითელ აგურებით აჭრელებული მისი ლამაზი წინაპირი საამოდ გამოიყურებოდა.

— აჰა, ესეც მოველით ჩემო კარგო,—წამოიძახა ბ· ლეშამ...—აბა! ხომ მოგწონს აქაურობა!..

## II

ერთი ჰალარაშერთული, წელში მოხრილი მოხუცი აივანზე ბოლთას სცემდა. თვალი მოგვკრა თუ არა, ჩვენს მოსაგებებლად წამოვიდა. ლეშას მოწიწებით ეტლიდან ჩამოსვლა უშველა.

— ბეითალს ხომ გააშინჯვინე ავადმყოფი ძროხა?

— დიახ, ბატონო ლეშა.

—ჯერ ერთი ქუდი მოიხადე.. თქვენში მოსამსახურე ქუდმოუხდელი ელაპარაკება ბატონს?·. ძალიან კარგი... მერე რაო ბეითალმა?

— ის მოგახსენათ, რომ ძროხა უნდა დავკლათო, ბატონო ლეშა.

— შენი ბეითალი ნამდვილი ბატის ტვინია... ძროხა ხუთას ფრანკად ღირს და დაჰკალითო!... ძალიან დაგიმადლებ, თუ შენ თვითონ მიუყვან სოფლის ექიმს და აჩვენებ, შენ თვითონ, გაიგონე? ახლავე... აბა გასწი ბატონო გრაფო!..

მოხუცმა თავი დაუკრა და, ის იყო, ცოტათი შეჩერდა, რომ ლეშამ ფსტვენით დაუძახა, იმ სახით, როგორც ძაღლებს უძახიან ხოლმე..

— ნებას გაძლევ, თავზე ქუდი დაიხურო, არამც თუ ქუდი, შენი გვირგვინიცა, თუ სხვასთან ერთად ისიც არ გაგიყიდნია... ახლა კი გასწი.

მერე მე მომიბრუნდა ჩვენი ბაქია ლეშა და მითხრა:

— ეს მოხუცი გრაფი დე·ლა ფონტელია, ჩემი მოურავი. რაც რამ ებადა გაჰფლანგა და გალატაკებული უსალსროში ავიყვანე, რომ შიმშილისაგან მეხსნა... დიაღ, ჩემო ბატონო, კეთილშობილია, ნამდვილი გრაფია!.. ხომ ხედავთ, რას ვუშვრები შენს გრაფებს!.. ცუდი დღე ადგებათ ჩემთან ამ კეთილშობილებს!.. ჩემის წყალობითა, ამ დიდს ბატონს, სული რომ უდგას... აბა სახლში შევიდეთ.

შესავალი ოთახი უზარმაზარი რამ იყო. უშველებელი კიბე. ძველი მუხის რიკულებით შემკული, მაღლა სართულებისაკენ ადიოდა. ურიცხვ კარებიდან მოსჩანდა ერთი მეორეზე მიყრილი ოთახები და მათი ავეჯი და ჭალები. სწორედ შესავალ კარების პირდაპირ მამულის რუკას, ფერადებით დახატულს, მთელი კედელი ეკავა.

— შეხედე, — მითხრა ლეშამ, — აი ჩემი რუკაცა, ჩემი მინდვრები, ტყეები, ისეა დახატული თითქო შიგ დასეირნობდე... წითლად დახატული ოთხ-კუთხი ადგილები ჩემი ოცი ფერმაა... ესენი გასინჯე და არ მოიწყინო, მანამ ჩემ ცოლს ვეტყვი ჩვენის მოსვლის ამბავს... იცი, კი ნუ მოერიდები, ყველაფერი გაშინჯე... ქუდი გინდა სადმე დაჰკიდო? აი, მარცხნივ ტანისამოსის ჩამოსაკიდებელია... კი ნუ მომერიდები... ერთსაც გეტყვი, ის კი არ გეგონოს, რომ ჩემი ცოლი პარიზელ ქალბატონებსა ჰგავდეს... ნამდვილი სოფლის დედაკაცია, წინდაწინვე გეუბნები, გაუთლელია. რო იცოდე, რარიგ მარცხვენს... წარმოუდგენელია... საშინელებაა... აბა ხომ დაჰკიდე, აჰანდე!... ამას ხომ ხედავთ, შავად რომ არის? ჩემი არყის სახდელია... ჩამოჯექი... ნუ კი გრცხვენია...

ჩემს გარშემო ავეჯი ცოტა იყო, იდგა უშველებელი განჯინები ურთხლისა, მაგიდები, დაწნილი სავარძლები, ტყავგადაკრული მერხები და რამდენიმე სურათი ნადირობისა. ყველა ამ განჯინებზე, მაგიდებზე, სურათებს ზევით, ყველგან ფრინველების ფშუტურები იდგა. ყოველ ფრინველთ კისერზე დაკიდებული ჰქონდა სპილენძის პატარა ფიცრები, რომლებსაც ამ ნაირი წარწერები ჰქონდა:

სამეფო ყანჩი
ვოპერდუს მამულის პატრონის
**ბ. თეოდულ ლეშას**-მიერ მოკლული
ვალდიის საძოვრებზე
15 ენკენისთვეს 1880 წ.

შევნიშნე ერთი მარმარილოს ვაზაც, დიდ სარკის ძირს დადგმული. შიგ ეყარა ხის ფეხსაცმელი, პანტუფლები, გომფისის ფეხსაცმელი, ყველა ერთმანერთში აღუფხული, ყველა საზარელი და უცნაური სანახავი.

შემდეგი იქნება

თ. ს.



მოდი და არჩევნები მოახდინე ამისთანა მდგომარეობაში!...

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი**

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა.—ტელეფონი № 372